ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №520459

ნომერი: AR1103907

თარიღი : 18.01.2013

გაცემის თარიღი : 28.01.2013

გაცნობის თარიღი : 28.01.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოლეგი ვადაჭკორია პ/ნ 01015004392
- თბილისი ნ.ბარათაშვილის ქ. N 6/10 ბ. 15

ორგანიზაცია:

- ამხანაგობა "თავისუფლების მოედანი - 4" კოდი: 205209193

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სანდრო ბალიაშვილი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,

ბ" ქვეპუნქტისა და მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N3, 22.01.2013წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი N4–ში მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებულ პროექტს რეკომენდაციით: ორი სართულის ნაცვლად შესაძლებელია ტექნიკური სართული გადაკეთდეს ერთ სრულ სართულად. ფასადი დამუშავდეს უფრო სადა არქიტექტურით. მოიხსნას შეისრული სარკმლები.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ო. ვადაჭკორიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ო. ვადაჭკორიას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, თავისუფლების მოედანი N4–ში მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.